საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო
გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტი

ადმინისტრაციული მიწერილობა

№ 004233

„28" ივნისი 2026 წ.

ქ. თბილისი
(შედგენის ადგილი)

გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სარგებლობის სფეროში საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნათა დარღვევების აღმოსაფხვრელი ღონისძიებების გატარების ან რაიმე ქმედებებისაგან თავის შეკავების შესახებ

გ სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება - გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტი
(ადმინისტრაციული მიწერილობის გამცემი ორგანოს დასახელება, იურიდიული მისამართი)

ქ. თბილისი, გ. წინამძღვრიშვილის I ჩ. №1

ადმინისტრაციული მიწერილობის ობიექტი: შპს „ჯი ხი ჯი" (ს/ნ 405039015)
(ფიზიკური პირის შემთხვევაში – სახელი, გვარი

მინისტრის 2019 წლის 21 ივნისის №2-581 ბრძანებით გაცემული გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება. (დასკვნა №68; 30.12.2016)

დარღვევები, რომლებზეც გაიცემა ადმინისტრაციული მიწერილობა: იხილეთ № 004233 ადმინისტრაციული მიწერილობის დანართი №1
(დარღვევების ჩამონათვალი, რომლებზეც გაიცემა მიწერილობა)

გასატარებელი ღონისძიებები: ოქმის №004233 ადმინისტრაციული მიწერილობის დანართი №2

(დავალების არსი, საჭიროების შემთხვევაში, შესრულების ვადები)

თან ერთვის დანართი: 5 გვერდი
(დანართის №, გვერდების რ-ბა, დანართების არარსებობის შემთხვევაში დაისმევა z)

პასუხისმგებლობა ადმინისტრაციული მიწერილობის შეუსრულებლობის შემთხვევაში:

ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 79⁸ მუხლის [illegible] [illegible] ნაწილის,
(კანონის მუხლ(ებ)ი, შესაბამისი პუნქტი ან ნაწილი, ქვეპუნქტი)
ნარჩენების მართვის კოდექსის 43-ე მუხლის მე-2 ნაწილის, 42-ე მუხლის, 36-ე მუხლის მე-2 ნაწილის და 46-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად

მიწერილობის გამცემი თანამდებობის პირი: გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის [illegible] [illegible] - მთავარი სპეციალისტი [illegible] ნიკა [illegible]
(თანამდებობა, სახელი, გვარი)

თანამდებობის პირის ხელმოწერა: ნ. [illegible]

ადმინისტრაციული მიწერილობის მიმღები (ივსება პირდაპირი ჩაბარების შემთხვევაში):

[illegible]
(რეგულირების ობიექტის წარმომადგენელი პირი, მისი ხელმოწერა და თარიღი)

2026 წლის 28 იანვრის №004233 ადმინისტრაციული მიწერილობის დანართი №1

გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის უფროსის 2024 წლის 30 მაისის №DES52400000234 ბრძანების საფუძველზე, დეპარტამენტის უფლებამოსილი თანამშრომლების მიერ, განხორციელდა გარდაბნის მუნიციპალიტეტში, სოფელ მარტყოფის თემში შემავალ ვაზიანის ტერიტორიაზე განთავსებული, შპს „ჯი სი ჯი"-ს (ს/ნ 405039015) კუთვნილ ასფალტის წარმოებაზე, საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2019 წლის 21 ივნისის №2-581 ბრძანებით გაცემული გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებით (2016 წლის 30 დეკემბრის №68 ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნა) გათვალისწინებული პირობებისა და გარემოს დაცვის სფეროში მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი ნორმების შესრულების მდგომარეობის გეგმიური შემოწმება.

შემოწმების შედეგად გამოვლინდა შემდეგი დარღვევები:

1. 2016 წლის 30 დეკემბრის №68 ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნის **პირველი პირობის** თანახმად, შპს „ჯი სი ჯი" საქმიანობას არ ახორციელებდა გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშის, მონიტორინგის გეგმის, ვალდებულებებისა და რეკომენდაციების შესაბამისად. კერძოდ:

1.1. გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშის თანახმად, ასფალტბეტონის საწარმოს გააჩნია 5 ერთეული ნედლეულის მიმღები ბუნკერი, რომელთაგან თითოეული აღჭურვილი უნდა იყოს ცხავით, თუმცა ინსპექტირებით დადგინდა, რომ 5 ერთეული ნედლეულის მიმღები ბუნკერიდან ცხავით აღჭურვილია მხოლოდ 2 ბუნკერი;

1.2. გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშის თანახმად, ასფალტბეტონის საწარმოს უნდა გააჩნდეს ექვსი, 50 ტონა მოცულობის ბიტუმის საცავი, თუმცა ინსპექტირებით დადგინდა, რომ ბიტუმის განთავსებისათვის განკუთვნილი ავზების მოცულობა არ შეესაბამება გზშ ანგარიშში წარმოდგენილ მონაცემებს., კერძოდ, ერთი ავზის მოცულობა შეადგენს 100 ტონას;

1.3. საწარმოო მოედანზე ღია არხების (კიუვეტების) სისტემა და ორკამერიანი ნავთობდამჭერი ნაგებობა არ არის მოწყობილი;

1.4. საწარმოში არ არის დანერგილი ნარჩენების სეპარირებული შეგროვების მეთოდი და არ არის მოწყობილი სახიფათო ნარჩენებისათვის განკუთვნილი შესაბამისი სათავსი;

2. 2016 წლის 30 დეკემბრის №68 ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნის **მე-2 პირობის** შესრულების მიზნით, კომპანიამ მშენებლობის დაწყებისა და ექსპლუატაციაში გაშვების შესახებ ინფორმაცია/დოკუმენტაცია არ წარმოადგინა სამინისტროში;

3. 2016 წლის 30 დეკემბრის №68 ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნის **მე-3 პირობის** თანახმად, შპს „ჯი სი ჯი" ვალდებულია ექსპლუატაციის ეტაპზე უზრუნველყოს „ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა ზღვრულად დასაშვები გაფრქვევის ნორმების პროექტით" წარმოდგენილი გამოყოფის და გაფრქვევის წყაროების, პარამეტრების დაცვა

და შესაბამისად, დადგენილი ზღვრულად დასაშვების გაფრქვევის ნორმების შესრულება, თუმცა ფაქტობრივი მდგომარეობით, საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროსთან, 2019 წლის 18 დეკემბერს შეთანხმებულ ზდგ ნორმების პროექტში არ არის ასახული ატმოსფერული ჰაერის დაბინძურების შემდეგი წყაროები:

- ბუნებრივ აირზე მომუშავე ბიტუმის გამაცხელებელი მოწყობილობა, რომელიც თავსდება ავტოცისტერნაში;
- ზედოზირების მილიდან გამოსული ქვა-ღორღის დასაწყობების უბანი;
- ინერტული მასალის დასაქუცმაცებლად მოწყობილი სამსხვრევ-გადამამუშავებელი დანადგარი.

აღნიშნული პირობების შეუსრულებლობა წარმოადგენს საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 79[8] მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებულ სამართალდარღვევას.

4. ინსპექტირების შედეგად ასევე გამოვლინდა გარემოს დაცვის სფეროში მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი ნორმების შეუსრულებლობის ფაქტები. კერძოდ:

4.1. შპს „ჯი სი ჯი“-ს მიერ არ იყო შესრულებული საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროსთან შეთანხმებული **2023-2025 წლების ნარჩენების მართვის გეგმით განსაზღვრული შემდეგი ღონისძიებები:**

4.1.1. ტერიტორიაზე არ არის მოწყობილი სანიაღვრე სისტემა;

4.1.2. საქმიანობის განხორციელების პროცესში არ არის ორგანიზებული და დანერგილი ნარჩენების სეპარირებული შეგროვების მეთოდი მათი სახეობებისა და მახასიათებლების მიხედვით, არ ხდება ნარჩენების შეგროვებისათვის განკუთვნილი კონტეინერების მარკირება შესაბამისი წესებით და ნიშნებით, რათა შესაძლებელი გახდეს მათი შიგთავსის განსაზღვრა და ზუსტად აღწერა, ასევე არ არის მოწყობილი სახიფათო ნარჩენებისათვის განკუთვნილი სათავსი;

4.1.3. შპს "ჯი სი ჯი"-ს, სამინისტროში არ აქვს წარდგენილი ინფორმაცია/კორესპონდენცია გარემოსდაცვითი მმართველის განსაზღვრის თაობაზე (საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს 2024 წლის 26 ივნისის №4844/01 წერილი).

აღნიშნული მოთხოვნების შეუსრულებლობა წარმოადგენს ნარჩენების მართვის კოდექსის 43-ე მუხლის მე-2 ნაწილით და 42-ე მუხლით გათვალისწინებულ სამართალდარღვევას;

4.2. საწარმოს ტერიტორიაზე, ორ სხვადასხვა უბანზე დაფიქსირდა დაღვრილი ნავთობპროდუქტები (დიზელის საწვავი), რაც **წარმოადგენს ნარჩენების მართვის კოდექსის 36-ე მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებულ სამართალდარღვევას.**

4.3. ინსპექტირების შედეგად დადგინდა, რომ საწარმოს ტექნოლოგიურ პროცესში ჩართული ერთ-ერთი ბიტუმსაცავის ავზის მოცულობა გაზრდილია, კერძოდ 50 ტონის ნაცვლად დამონტაჟებულია 100 ტონა ტევადობის ავზი და მოწყობილია ბიტუმის გამაცხელებელი

მოწყობილობა, ასევე ტერიტორიაზე ხდება მსხვილი ფრაქციის ქვა-ღორღის მსხვრევა-გადამუშავება, შემდგომ კი წარმოებაში ნედლეულად გამოყენება.

მსხვრევა-გადამუშავების ტექნოლოგიურ ხაზში ჩართულია შემდეგი მოწყობილობა-აგრეგატები:

- ერთი ნედლეულის მიმღები ბუნკერი;
- ოთხი ლენტური ტრანსპორტიორი;
- ერთი სამსხვრევი დანადგარი და ერთი საცერი დანადგარი.

ამასთან, აღნიშნული ცვლილებები ასახული არ არის „ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა ზღვრულად დასაშვები გაფრქვევის ნორმების პროექტში“ და გზშ ანგარიშში.

შესაბამისად დადგინდა, რომ კომპანიამ სკრინინგის პროცედურას დაქვემდებარებული საქმიანობა განახორციელა სკრინინგის გადაწყვეტილების გარეშე, **რაც წარმოადგენს საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 79[7] მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებულ სამართალდარღვევას (იმ პერიოდისთვის მოქმედი რედაქცია).**

შემოწმების შედეგად გამოვლენილ დარღვევებზე, 2024 წლის 29 აგვისტოს, საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 79[7] მუხლის პირველი ნაწილის, 79[8] მუხლის პირველი ნაწილის, ნარჩენების მართვის კოდექსის 43-ე მუხლის მე-2 ნაწილის, 42-ე მუხლის და 36-ე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, შპს „ჯი სი ჯი“-ს მიმართ, შედგა ადმინისტრაციული სამართალდარღვევის შესახებ № 089235 ოქმი, რომელიც თანდართული მასალებით, განსახილველად გადაეგზავნა გარდაბნის მაგისტრატ სასამართლოს.

სასამართლომ, 2024 წლის 18 სექტემბრის №4-383-24 დადგენილებით, კომპანია სცნო ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ჩამდენად, საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 79[7] მუხლის პირველი ნაწილით, 79[8] მუხლის პირველი ნაწილით, ნარჩენების მართვის კოდექსის 43-ე მუხლის მე-2 ნაწილით, 42-ე მუხლით და 36-ე მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებულ ქმედებაში და სახდელის სახით შეუფარდა ჯარიმა - 10 000 ლარის ოდენობით. დღეს არსებული მდგომარეობით, დადგენილება შესულია კანონიერ ძალაში.

გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის 46-ე მუხლისა და მოქმედი კანონმდებლობის საფუძველზე, სახელმწიფო კონტროლის განმახორციელებელი სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება ადგენს გონივრულ ვადას გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებით განსაზღვრული პირობების შესრულებისა და ინსპექტირების შედეგად გამოვლენილი დარღვევების აღმოსაფხვრელად.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, შპს „ჯი სი ჯი“-ს მიმართ შემუშავდა დეპარტამენტის 2026 წლის 28 იანვრის №004233 ადმინისტრაციული მიწერილობა.

2026 წლის 28 იანვრის №004233 ადმინისტრაციული მიწერილობის დანართი №2

შპს „ჯი სი ჯი"-ს (ს/ნ 405039015) კუთვნილ ასფალტის წარმოებაზე, საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2019 წლის 21 ივნისის №2-581 ბრძანებით გაცემული გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებით (2016 წლის 30 დეკემბრის №68 ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნა, სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს უფროსის 2026 წლის 16 იანვრის №18/ს ბრძანებით გაცემული სკრინინგის გადაწყვეტილება) გათვალისწინებული პირობებისა და გარემოს დაცვის სფეროში მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი ნორმების შესრულების მდგომარეობის გეგმიური შემოწმებისას გამოვლენილი დარღვევების აღმოსაფხვრელად, **შპს „ჯი სი ჯი" ვალდებულია:**

1. საქმიანობის განხორციელება **მუდმივად** უზრუნველყოს გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშის (ექსპლუატაციის პირობის ცვლილების გათვალისწინებით) მონიტორინგის გეგმის, ვალდებულებებისა და რეკომენდაციების შესაბამისად (2016 წლის 30 დეკემბრის №68 ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნის **პირველი პირობა,** სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს უფროსის 2026 წლის 16 იანვრის №18/ს ბრძანება). მათ შორის:

1.1. ადმინისტრაციული მიწერილობის **ჩაბარებიდან არაუგვიანეს 2 (ორი) თვის ვადაში** უზრუნველყოს, ასფალტბეტონის საწარმოში არსებული, ხუთივე ნედლეულის მიმღები ბუნკერის ცხავით აღჭურვა, გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშის შესაბამისად;

1.2. ადმინისტრაციული მიწერილობის **ჩაბარებიდან არაუგვიანეს 2 (ორი) თვის ვადაში** უზრუნველყოს, წარმოქმნილი სანიაღვრე წყლების შესაგროვებლად, (სანიაღვრე სისტემის) ასფალტბეტონის საწარმოო მოედანზე ღია არხების (კიუეტები) სისტემის და ორ კამერიანი ნავთობდამჭერი ნაგებობის მოწყობა, გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშის შესაბამისად;

1.3. ადმინისტრაციული მიწერილობის **ჩაბარებიდან არაუგვიანეს 1 (ერთი) თვის ვადაში** უზრუნველყოს, სახიფათო ნარჩენების შესანახი სათავსის მოწყობა;

1.4. ადმინისტრაციული მიწერილობის **ჩაბარებიდან არაუგვიანეს 1 (ერთი) თვის ვადაში** უზრუნველყოს, საწარმოში ნარჩენების სეპარირებული შეგროვების მიზნით, შესაბამისი მარკირების მქონე სათანადო რაოდენობის კონტეინერების განთავსება;

2. ადმინისტრაციული მიწერილობის **ჩაბარებიდან არაუგვიანეს 10 (ათი) სამუშაო დღის ვადაში** უზრუნველყოს, საწარმოს ტერიტორიაზე დაღვრილი/დაყრილი სახიფათო ნარჩენისგან (დიზელის საწვავი და სხვა) დასუფთავება, ხოლო აღნიშნული ნარჩენ(ებ)ის მართვა განახორციელოს ნარჩენების მართვის კოდექსითა და მისგან გამომდინარე კანონქვემდებარე ნორმატიული აქტებით განსაზღვრული ვალდებულებებისა და მოთხოვნების შესაბამისად;

3. შპს „ჯი სი ჯი" ვალდებულია, **სკრინინგის გადაწყვეტილების გაცემიდან (სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს უფროსის 2026 წლის 16 იანვრის №18/ს ბრძანება) არაუგვიანეს 2 თვის ვადაში,** ექსპლუატაციის პირობის ცვლილების გათვალისწინებით, **უზრუნველყოს**

განახლებული ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა ზღვრულად დასაშვები გაფრქვევის ნორმების პროექტის სააგენტოსთან შეთანხმება. შემდგომში **საქმიანობის განხორციელების პროცესში უზრუნველყოს** სააგენტოსთან შეთანხმებული გამოყოფის და გაფრქვევის წყაროების, ასევე აირმტვერდამჭერი მოწყობილობების პარამეტრების დაცვა და შესაბამისად დადგენილი ზღვრულად დასაშვები გაფრქვევის ნორმების პროექტის შესრულება;

4. **სკრინინგის გადაწყვეტილების გაცემიდან (სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს უფროსის 2026 წლის 16 იანვრის №18/ს ბრძანება) არაუგვიანეს 2 თვის ვადაში**, უზრუნველყოს განახლებული ზედაპირული წყლის ობიექტში ჩამდინარე წყლებთან ერთად ჩაშვებულ დამაბინძურებელ ნივთიერებათა ზღვრულად დასაშვები ჩაშვების ნორმების პროექტის სააგენტოსთან შეთანხმება. შემდგომში უზრუნველყოს სააგენტოსთან შეთანხმებული ზღვრულად დასაშვები ჩაშვების ნორმების დაცვა;

5. **სკრინინგის გადაწყვეტილების გაცემიდან (სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს უფროსის 2026 წლის 16 იანვრის №18/ს ბრძანება) არაუგვიანეს 2 თვის ვადაში,** უზრუნველყოს განახლებული კომპანიის ნარჩენების მართვის გეგმის სააგენტოსთან შეთანხმება. შემდგომში უზრუნველყოს სააგენტოსთან შეთანხმებული კომპანიის ნარჩენების მართვის გეგმის შესრულება;

6. **სკრინინგის გადაწყვეტილების გაცემიდან (სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს უფროსის 2026 წლის 16 იანვრის №18/ს ბრძანება) არაუგვიანეს 2 თვის ვადაში,** უზრუნველყოს განახლებული გარემოსდაცვითი მონიტორინგის გეგმის სააგენტოსთან შეთანხმება. შემდგომში უზრუნველყოს სააგენტოსთან შეთანხმებული გარემოსდაცვითი მონიტორინგის გეგმის შესრულება.